ხელშეკრულება საქონლის სახელმწიფო
შესყიდვების შესახებ №31

07 აგვისტო 2019 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ **ააიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლი დირექტორის თამარ თაგვაშვილის** სახით, (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ **ი/მ ნელი წიქარაძე** (შემდგომში "მიმწოდებელი"), ხელმძღვანელის **ნელი წიქარაძის** სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშკრულებას (შემდგომში-ხელშკრულება) შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი
ხელშეკრულების საგანია **ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი მასალა (კოდი 22800000)**
ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება გამარტივებული მეთოდით.

2.ხელშეკრულების ობიექტი
"მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს "შემსყიდველს" **დაკვეთილი საქონელი** ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი
3.1.მომსახურების მიწოდების თარიღად ითვლება **07.08.2019-31.12.2019წ** /თვე, რიცხვი, წელი/
3.2 საქონლის მიწოდების ადგილი **ქ.ახმეტა**

4.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
4.1.შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ
4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს"მიმწოდებელი"
4.3. "შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს "მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1."შემსყიდველი" ვალდებულია გადაუხადოს "მიმწოდებელს" შეთანხმებული ფასი; მიიღოს გაწეული მომსახურება
5.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს: გაუუქმოს"მიმწოდებელს" გაწეული მომსახურება, თუ მისიხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს.
5.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია:
გადასცეს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში;დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5.4. ”მიმწოდებელს” უფლება აქვს: მოსთხოვოს ”შემსყიდველს” ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

6.ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **200 (ორასი) ლარს.** /ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით/

7.ფ ა ს ე ბ ი

ამ მუხლში აისახება ის შემთხვევები, როდესაც დასაშვები იქნება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების გადასინჯვა(მაგ. ინფლაციის მსღალი დონე, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება,საგადასახადო რეჟიმის შეცვლა და სხვა), გარდა ამისა, უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ფასის ცვლილებების მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი და ყოველ კონკრეტულ გარემოებასთან მიმართებაში - ცვლილებების გაანგარიშების წესი.

8.ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: **გადარიცხვა**

8.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): მომსახურების შემდეგ /მაგ. მომსახურების შემდეგ/ წინასწარი ანგარიშსწორება გარკვეული პროცენტით (ამ შემთხვევაში ”მომწოდებელმა” უნდა წარმოადგინოს საავანსო თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტია), ანგარიშსწორება განვადებით,შემსყიდველის ფაქტიური დაფინანსების მიხედვით ან სხვა დასაშვებია ანგარიშსწორების გრაფიკის განსაზღვრა სხვადასხვა ვარიანტების კომბინირებით.

8.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: **სასაქონლო ზედნადები ან ანგარიშფაქტურა**

9.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული **დღისთვის** ”მიმწოდებელს” ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.02 პროცენტის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, ”შემსყიდველს” უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულიად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და სხვა საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

10.4. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11.ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ყოველდღიურ კონტროლს ადგილზე "შემსყიდველის" მხრიდან ახორციელებს **ააიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლის დირექტორი თამარ თაგვაშვილი.**

12.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლ მოლაპარაკების საფუძველზე

12.2. თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია **2020 წლის 31 იანვრამდე.**

/მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, თუ შეუძლებელია მითითებული იქნეს კონკრეტული ვადა/

14.სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.

14.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

15.მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი
ააიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლი
ქ.ახმეტა რუსთაველის 50

ს/კოდი 224631414
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ/ კოდიTRESGE22
T-599 01 40 89

მიმწოდებელი
ი/მ ნელი წიქარაძე
ქ. ახმეტა
ს/კ 08001008261
ს/ს ლიბერთი ბანკი
ბ/კ LBRTGE22
ა/ანGE43LB0112163085934000
ტ-

"შემსყიდველი" Tamar Tagvashvili Digitally signed by Tamar Tagvashvili Date: 2019.08.07 15:06:17 +04'00' **თამარ თაგვაშვილი**

მიმწოდებელი Neli Tsikaradze Digitally signed by Neli Tsikaradze Date: 2019.08.07 15:42:33 +04'00' **ნელი წიქარაძე**